



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ქუთაისის სასწავლო ცენტრი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

აგროლოჯისტიკის ოპერატორი

მეხუთე საფეხური

ქუთაისი

2015

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: აგროლოჯისტიკის ოპერატორი

II. მიმართულება – ბიზნესის ადმინისტრირება

III. პროფესიული განათლების საფეხური -მეხუთე

სწავლების ენა-ქართული,

პროგრამის ხელმძღვანელები:

1. **ეკა ჩოხელი** - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ასოცირებული პროფესორი; მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 2, მე-6 სართული, აუდ. 607; ტელ: (032)2303514; მობ. 571 626320; ელ. ფოსტა: e_chokheli@yahoo.com; eka.chokheli@tsu.ge.
2. **მავრა თევზაძე** - ინჟინერიის აკადემიური დოქტორი, მისამართი ქ. ქუთაისი, ნიკვას მე-2 შესახვევი N8; ტელ: 0(431) 23 0424, მობ. 593 36 30 2; ელ. ფოსტა: mavratevzadze@gmail.com

IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – აგროლოჯისტიკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია -The 5th level professional qualification of the agrolojistics operator

V. პროგრამის მოცულობა: 25 კრედიტი (1 კრედიტი – 25 საათი) სულ 625 საათი.

მათ შორის: თეორიულ კომპონენტი - 15 კრედიტი (375 სთ).

პრაქტიკისკომპონენტი - 10 კრედიტი (250სთ).

VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მე-5 საფეხურზე დაშვება მოხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

VII. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

აგროლოჯისტიკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მომზადდეს კვალიფიციური სპეციალისტი, რომელმაც უნდა შეძლოს სამომხმარებლო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სასურსათო პროდუქტების მიწოდებისათვის აგროლოჯისტიკური სისტემის „ნედლეული-მზა პროდუქტი-მომხმარებელი“ ფუნქციონირების პროცესში პრაქტიკული საქმიანობის შესრულება, რაც ითვალისწინებს ისეთი ამოცანების გადაჭრას როგორებიცაა: სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შესყიდვებისათვის ინფორმაციის შეგროვება და მონაცემთა ბაზის შექმნა, პროდუქციის ნომენკლატურისა და ასორტიმენტის შერჩევა და მომზადება მიწოდებისათვის, სამომხმარებლო ბაზრის მარკეტინგული კვლევა და სასურსათო პროდუქტების ექსპედირება.

დასაქმების სფერო

მეხუთე საფეხურის აგროლოჯისტიკის ოპერატორის პროფესიული დასაქმების ობიექტებს მიეკუთვნება: აგროლოჯისტიკური ცენტრები და მის დაქვემდებარებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიმღებ-გამანაწილებელი პუნქტები, სასაწყობო მეურნეობები, საცალო და საბითუმო ბაზრობები, სასურსათო პროდუქტების ტვირთგადამზიდავი და სადისტრიბუციო

ფირმები, აგრეთვე ის ორგანიზაციები და გაერთიანებები, რომელთაც ჭირდებათ აგროლოჯისტიკის სფეროში სათანადო ცოდნითა და პროფესიული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სპეციალისტი.

VIII. სწავლის შედეგი:

საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს პროფესიულ სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარ-ჩვევები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებით:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>გაცნობიერებული აქვს აგროლოჯისტიკური სისტემის აგების პრინციპები და ელემენტებს შორის ურთიერთკავშირის კანონზომიერებები. იცის: შესყიდვების ლოჯისტიკის მიზანი და ამოცანები; შესყიდვების ბაზრის გამოკვლევის მეთოდები; შესყიდვების ლოჯისტიკის მექანიზმის ფუნქციონირების პრინციპები; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვების დაგეგმვის მეთოდები; საწარმოო ლოჯისტიკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები, საწარმოო პროცესების ორგანიზაციის მეთოდები; განაწილების ლოჯისტიკის თეორიული საფუძვლები, განაწილების სისტემის აგების პრინციპები, საქონელმიმოქცევის ძირითადი ტექნოლოგიები განაწილების სისტემაში, სამომხმარებლო ბაზრის მარკეტინგული კვლევისა და პროდუქციის განაწილების ურთიერთკავშირი; აგროლოჯისტიკური ცენტრების ფუნქციონირების სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები, მიზანი და ამოცანები; აგროლოჯისტიკურ ცენტრებში მატერიალური ნაკადების დაგეგმვა, კოორდინაცია და რეგულირება, საწარმოო პროცესების ორგანიზაცია და წარმართვა, სასაქონლო ნომენკლატურისა და ასორტიმენტის ფორმირება, პროდუქციის გასაღების თანამედროვე მეთოდები და კონტროლინგის სისტემა; ლოჯისტიკური ინფორმაციის არსი, მისი დამუშავების ხერხები და საშუალებები; ინფორმაციული სისტემების არქიტექტურა და მათი კავშირი გლობალურ საინფორმაციო სივრცესთან; მართვის ავტომატიზირებული სისტემები; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სატრანსპორტო-საექსპედიციო სისტემის მოდელები; საექსპედიციო ოპერაციების დაგეგმვის მეთოდები და ექსპედიტორ-ოპერატორის შერჩევის კრიტერიუმები; სატრანსპორტო – საექსპედიციო საქმიანობის კონკურენტუნარიანობა და შეფასების მეთოდები.</p>
-------------------------------------	---	---

<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვებზე სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნილების მარკეტინგულ კვლევებში მონაწილეობა; პოტენციური მომწოდებლების მოძიება და მათი წინადადებების განხილვა, შესყიდვების ოპერაციების ორგანიზებაში მონაწილეობა; მომწოდებლის შერჩევის კრიტერიუმების დამუშავება; პროდუქციის სამომხმარებლო ბაზარზე გასაღების დინამიკასთან შეფარდებით შესყიდვების მოცულობის ზომის განსაზღვრა; წარმოების ყველა რგოლის რითმული და შეთანხმებული მუშაობის, ასევე საწარმოო პროცესების მაქსიმალური უწყვეტობის უზრუნველყოფის მიღწევის მიზნით არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენება; მარაგების კონტროლი და საწარმოს საბაზრო გეგმის დამუშავებაში მონაწილეობა; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის განაწილების დაგეგმვისათვის აუცილებელი ინფორმაციის შეკრება; გასაღების სტიმულირების მიზნით პროდუქციაზე ინფორმაციის შექმნა და გავრცელება; კავშირების დამყარება პოტენციურ შემსყიდველებთან და შუამავლებთან, მათი შერჩევა, პროდუქციის გასაღების მარკეტინგული კვლევის საფუძველზე განაწილების შესაძლო არხების სტრუქტურის განსაზღვრა; აგროლოჯისტიკურ ცენტრებში ლოჯისტიკური სისტემის შემადგენელი ქვესისტემების (შესყიდვა, საწყობები, მარაგები, გადამამუშავებელი საწარმოები, ტრანსპორტი, ინფორმაცია, გასაღება) ფუნქციონირების პროცესში მომარაგების, საწარმოო და გასაღების რგოლებს შორის კოორდინირებული ურთიერთქმედების უზრუნველყოფა; აგროლოჯისტიკური ოპერაციების შესრულებისას ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის შეკრება და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ლოჯისტიკური ნაკადების მოძრაობის პროცესში; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თანხლება გზაში; მომხმარებლის მიზიდვასთან დაკავშირებული საინფორმაციო მომსახურების გაწევა; სატრანსპორტო საშუალებათა აღჭურვის ან სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებათა შეთავაზება; სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტაციის გაფორმება; ოპერაციების კომპლექსის შესრულების ორგანიზაცია ტვირთების დახარისხების, დატვირთვა-განტვირთვის და სხვა ოპერაციების შესრულების დროს; ტერმინალებში ტვირთების პარტიების კონსოლიდაციისა და კომპლექტაციის ორგანიზაცია; ხელშეწყობა პორტალში სასაქონლო ოპერაციების ჩატარებისას.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>შეუძლია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოთხოვნილების სპეციფიკიდან გამომდინარე გასაღების თანამედროვე საშუალებების ალტერნატიული ვარიანტების განხილვა და მიღებული შედეგების ანალიზით პროდუქციის საბოლოო რეალიზაციისათვის წინადადებების შეთავაზება; აგროლოჯისტიკური ოპერაციების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში წარმოშობილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე მისი გამომწვევი წინაპირობების დადგენა და საუკეთესო ლოჯისტიკური პროდუქტის მისაღებად ოპერატიული ღონისძიებების დაგეგმვა.</p>

<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<p>პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეუძლია: დარგის სპეციალისტებთან, საწარმოს პერსონალთან, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მომწოდებლებთან და მზა პროდუქციის მომხმარებლებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია; პროფესიული საქმიანობის სფეროში მიღებული ცოდნის და გამოცდილების გაზიარება, პერსონალის ხელმძღვანელობის ეფექტურად წარმართვისათვის თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<p>აქვს უნარი, დამოუკიდებლად შეისწავლოს აგროლოჯისტიკური ოპერაციების განხორციელების პროგრესული მეთოდები და ტექნოლოგიები, მათი პრაქტიკაში დანერგვის პირობები, დარგის განვითარების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად შეუძლია ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება სწავლის გაგრძელების შესახებ, ხოლო პროფესიული საქმიანობის სრულყოფისათვის განსაზღვროს თვითაქტუალიზაციის მიმართულებები.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.</p>	<p>ცვალებად სიტუაციებში შეუძლია მაღალი პასუხისმგებლობით მიუდგეს პროფესიული საქმიანობის წარმართვას; კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვით; ხელი შეუწყოს მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი პერსონალის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას; პროფესიული საქმიანობის გარემოში გაითვალისწინოს პერსონალის შეხედულებები, შრომის კულტურისა და ქცევის ნორმები.</p>

IX. სწავლის შედეგების რუკა

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული თითოეული სასწავლო კურსის/პრაქტიკის გავლის შედეგად მიღწეული კომპეტენციები.

სასწავლო კურსები /პრაქტიკა	სწავლის შედეგები					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
უცხო ენა	X	X		X	X	
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვების ლოჯისტიკა	X	X	X	X	X	X
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის განაწილების ლოჯისტიკა	X	X	X	X	X	X
აგროლოჯისტიკური სისტემის საინფორმაციო უზრუნველყოფა	X	X	X	X	X	X
აგროლოჯისტიკური ცენტრების ორგანიზაცია	X	X	X	X	X	X
საწარმოო ლოჯისტიკა	X	X	X	X	X	X
სატვირთო გადაზიდვების ექსპედირება	X	X	X	X	X	X
სასწავლო პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
საწარმოო პრაქტიკა	X	X	X	X	X	X

X. სასწავლო გეგმა:

სასწავლო კურსები/პრაქტიკა კრედიტების მიხედვით. კრედიტი მოიცავს როგორც სააუდიტორიო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

სასწავლო კურსები /პრაქტიკა	საათების განაწილება								სულ საათების რაოდენობა
	კრედიტების რაოდენობა	საკონტაქტო საათები						დამოუკიდებელი საათები	
		ლექცია	სამუშაო ჯგუფში მუშაობა	შუალედური შეფასება	დასკვნითი შეფასება (გამოცდა)	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა		
უცხო ენა	2	-	24	2	2	-	-	22	50
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვების ლოჯისტიკა	2	8	16	2	2	-	-	22	50
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის განაწილების ლოჯისტიკა	2	8	16	2	2	-	-	22	50
აგროლოჯისტიკური სისტემის საინფორმაციო უზრუნველყოფა	2	8	16	2	2	-	-	22	50
აგროლოჯისტიკური ცენტრების ორგანიზაცია	3	8	24	2	2	-	-	39	75
სატვირთო გადაზიდვების ექსპედიცია	2	8	16	2	2	-	-	22	50
საწარმოო ლოჯისტიკა	2	8	16	2	2	-	-	22	50
ჯამი:	15	48	128	14	14	-	-	171	375
სასწავლო პრაქტიკა	6	-	-	2	2	146	-	-	150
საწარმოო პრაქტიკა	4	-	-	2	2	-	96	-	100
ჯამი:	10	-	-	4	4	146	96	-	250
სულ:	25	48	128	18	18	146	96	171	625

სასწავლო კურსები/პრაქტიკა სასწავლო კვირების მიხედვით:

სასწავლო კურსები/პრაქტიკა	სასწავლო კვირათა რაოდენობა		
	10 კვირა	8 კვირა	6 კვირა
უცხო ენა	X		
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვების ლოჯისტიკა	X		
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის განაწილების ლოჯისტიკა	X		
აგროლოჯისტიკური სისტემის საინფორმაციო უზრუნველყოფა	X		
აგროლოჯისტიკური ცენტრების ორგანიზაცია	X		
სატვირთო გადაზიდვების ექსპედირება	X		
საწარმოო ლოჯისტიკა	X		
სასწავლო პრაქტიკა		X	
საწარმოო პრაქტიკა			X

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 24- სასწავლო კვირა და მოიცავს შემდეგ პერიოდებს:

- **10 სასწავლო კვირა** -თეორიული სწავლების პერიოდი, მოიცავს 8 კვირას თეორიული მეცადინეობისათვის, 2 კვირას შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის;
- **8 სასწავლო კვირა** -სასწავლო პრაქტიკის სწავლების პერიოდი, მოიცავს 6 კვირას სასწავლო პრაქტიკისათვის, 2 კვირას შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის;
- **6 სასწავლო კვირა** -საწარმოო პრაქტიკის სწავლების პერიოდი, მოიცავს 4 კვირას საწარმოო პრაქტიკისათვის, 2 კვირას შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის.

XI. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა):

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას;
- სამუშაო ჯგუფში მუშობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- სასწავლო პრაქტიკას;
- საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

XII. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება:

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71- 80%;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61- 70%;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმები:

- შუალედური შეფასება;
- დასკვნითი შეფასება;
- სხვა აქტივობები.

შეფასების მეთოდები:

- ტესტირება;
- ზეპირი გამოკითხვა;
- პრეზენტაცია.

XIII. სწავლების მეთოდები:

ინტერაქტიული სწავლება, ჯგუფური მუშაობა, სწავლების დედუქციური მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი.

შენიშვნა: ყოველი ცალკეული სასწავლო კურსისათვის, სწავლის მეთოდები, შეფასების ფორმები და მეთოდები ასახულია სილაბუსებში, რომელსაც თითოეული ლექტორი/მასწავლებელი ირჩევს ინდივიდუალურად.

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

ინფორმაცია იმ პერსონალის შესახებ, რომლებიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული სასწავლო კურსების/პრაქტიკის წარმართვაში მონაწილეობს.

სასწავლო კურსი/პრაქტიკა	პერსონალის სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
უცხო ენა	თეა ხეცურიანი	ფილოლოგიის მაგისტრი
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვების ლოჯისტიკა	გელა ლოსაბერიძე	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის განაწილების ლოჯისტიკა	გიული ქეშელაშვილი დავით კბილაშვილი	ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
აგროლოჯისტიკური სისტემის საინფორმაციო უზრუნველყოფა	გოჩა ლეკვეიშვილი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი; სამართალმცოდნეობისა და ეკონომიკის მაგისტრი
აგროლოჯისტიკური ცენტრების ორგანიზაცია	მანანა ხარხელი გელა ლოსაბერიძე	ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
საწარმოო ლოჯისტიკა	ეკა ჩოხელი ზაზა ჩხარტიშვილი	ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
სატვირთო გადაზიდვების ექსპედიცია	ხათუნა ბარბაქაძე მავრა თევზაძე	ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
სასწავლო პრაქტიკა	გელა ლოსაბერიძე გოჩა ლეკვეიშვილი ზაზა ჩხარტიშვილი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი ინჟინერიის აკადემიური დოქტორი ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
საწარმოო პრაქტიკა	დავით კბილაშვილი მავრა თევზაძე საწარმოოდან	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი ინჟინერიის აკადემიური დოქტორი -----

XV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ

სასწავლო პროცესისათვის გამოიყენება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის სასწავლო ცენტრის აუდიტორიები, კაბინეტ-ლაბორატორიები, კომპიუტერული ბაზა, ბიბლიოთეკა და ინვენტარი. ინტერნეტში ჩართული და შესაბამისი პროგრამების პაკეტით აღჭურვილი კომპიუტერული კლასი პროფესიულ სტუდენტებს მისცემს საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობას. გარდა ამისა, პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იქნება ელ-ფოსტა, რომლის მეშვეობით მათ ექნებათ მჭიდრო კავშირი თითოეულ ლექტორთან/მასწავლებელთან.

პროფესიული სტუდენტები ისარგებლებენ სპეციალური ლიტერატურით უზრუნველყოფილი ქუთაისის სასწავლო ცენტრის ბიბლიოთეკის მუდმივად განახლებადი წიგნადი ფონდით.

XVI. საწარმოო პრაქტიკა

პროფესიული სტუდენტების პროფესიული დაოსტატების მიზნით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკის გავლა. რაც ითვალისწინებს შემენილი თეორიული ცოდნის გაღრმავებას და კვლევის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას პრაქტიკულ საქმიანობაში.

პროფესიული სტუდენტი მემორანდუმის საფუძველზე საწარმოო პრაქტიკას გადის:

1. შპს "იმერელი გრუპინვესტი" - ქ. ქუთაისი, სულხან-საბას №8
2. შპს "ფუნდენტი"-ს ქუთაისის ფილიალის საწარმოო ბაზა - ქ. ქუთაისი, ზ. გამსახურდიას №60
3. შპს "იმერეთი გრინერი" ქ. სამტრედია, კოპალეიშვილის №7